გაᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის შესახებ

**გემის მექანიკა**

**ბაკალავრიატი**

**შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი**

შეფასების თარიღი: 15 ივნისი, 2022 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 13 ივლისი, 2022 წელი

თბილისი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 245433623 |
| დაწესებულების სახე | სასწავლო უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | გემის მექანიკა |
| უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | ინჟინერიის ბაკალავრი საზღვაო ინჟინერიაში |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0716 - ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდები / Motor Vehides, Ships and Aircnft |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | |
| სწავლების ენა | ინგლისური |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული<br>გადაწყვეტილება № 0515008, 02/06/2021 |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | გივი სანაძე, დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | მანანა მოისწრაფიშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების 2022 წლის გეგმური მონიტორინგის ფარგლებში (ცენტრის დირექტორის ბრძანება - №115241, 07/02/2022) განსაზღვრულია I სტანდარტის, II სტანდარტის, IV სტანდარტის 4.1, 4.3 და 4.4 კომპონენტების შეფასება. გეგმური მონიტორინგის საფუძველია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 2 ივნისის №515008 გადაწყვეტილება, რომლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის განხილვის შედეგად მიიღო გადაწყვეტილება აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენისა და მონიტორინგის განხორიცელების შესახებ.____ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „გემის მექანიკა" შედგენილია ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის" შესაბამისად. პროგრამის შედგენისას გათვალისწინებულია დარგობრივი მარეგულირებელი მოთხოვნები, როგორებიცაა: უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი „საზღვაო ინჟინერია", International Convention on Standards of Training, Certification and Watchkeeping for Seafarers კონვენცია.

პროგრამის „გემის მექანიკა" მისანიჭებელი კვალიფიკაციაა „ინჟინერიის ბაკალავრი საზღვაო ინჟინერიაში". სწავლების ხანგრძლივობა 4 წელია. პროგრამამ 2021 წელს გაიარა აკრედიტაცია და მასზე ჯერ არ მომხდარა სტუდენტების ჩარიცხვა, მაგრამ უნივერსიტეტს გააჩნია ანლოგიური ქართულენოვანი პროგრამის განხორციელების გამოცდილება. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 02.06.2021 წლის გადაწყვეტილებით (MES 7 21 0000515008) და განისაზღვრა ერთი წლის ვადაში აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით გეგმური მონიტორინგი.

პროგრამის მოცულობა შეადგენს 240 ECTS კრედიტს. პროგრამაში გათვალისწინებული თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში არჩევითობა. უნივერსიტეტს გაჩნია შესაბამისი სწავლების რესურსები. პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საზღვაო ინგლისური ენის სწავლებას. პროგრამის აქტუალობა ეჭვგარეშეა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტული მიმართულებებიდან

და მსოფლიო ბაზარზე საზღვაო ინჟინერიის კვალიფიცირებული სპეციალისტების საჭიროებიდან გამომდინარე.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაცია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 02.06.2021 წლის გადაწყვეტილებით (MES 7 21 0000515008) განსაზღვრული გეგმური მონიტორინგი განხორციელდა 2022 წლის 15 ივნისს. მანამდე 13 ივნისს ჩატარდა ექსპერტთა წინასწარი მოსამზადებელი შეხვედრა. ექსპერტთა შორის გადანაწილებულ იქნა დავალებები სტანდარტების მიხედვით. გაზიარებულ იქნა მოსაზრებები საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ წინასწარი შედეგები. განხილული და შეჯერებული იქნა კონკრეტული ბუნდოვანი და დასაზუსტებელი საკითხები.

მონიტორინგი ჩატარდა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით. გავლილ იქნა აკრედიტაციის პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტების შესაბამისი საკითხები. ექსპერტებს ჰქონდათ სრული შესაძლებლობა გაცნობოდნენ ყველა დოკუმენტს. გამოთხოვილ იქნა დამატებითი დოკუმენტებიც.

ვიზიტის განმავლობაში შედგა შეხვედრები: თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და ხარის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან. მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებას. ვიზიტ ბოლოს ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გააცნო ვიზიტის შედეგად მიღებული წინასწარი მიგნებები.

სააკრედიტაციო პროცედურა წარიმართა საქმიან გარემოში. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ გამოავლინა მაქსიმალური მობილიზება და უზრუნველყო ყველა პირობა იმისთვის, რომ ექსპერტთა ჯგუფს მიეღო სრულყოფილი ინფორმაცია.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

მონიტორინგის შედეგად დგინდება ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ მათზე გაცემული რეკომენდაციების შესრულება, კერძო:

- პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბდა მარტივად, ლაკონურად, განზოგადებულად. გადაიხედა თემატიკა და გამოირიცხა განმეორება სხვადასხვა სწავლის შედეგში.

- იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც აბარებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებს, თავიდანვე სავალდებულოდ განისაზღვრა პროგრამის დაძლევისთვის საჭირო ინგლისური ენის ცოდნის შესაბამისი ზღვარი.

- სპეციალიზებული პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების უნარების განვითარებას დაკავშირებით განიმარტა, რომ აღნიშნული უნარი უზრუნველყოფილია წინამდებარე პროგრამის სასწავლო კურსით ,,ტრენაჟორული მომზადება“. რეკომენდაციის გათვალისწინების მიზნით სასწავლო კურსში ,,ტრენაჟორული მომზადება“ გაიზარდა პრაქტიკულ დავალებებზე დათმობილი საათების რაოდენობა. არჩევითი სასწავლო კურსი ,,გემის დიზელის ძრავების ტექნიკური ექსპლუატაცია“ მიმართულია სავალდებულო საგნებით, კერძოდ, სავალდებულო სასწავლო კურს ,,შიდა წვის ძრავებით“

გათვალისწინებული ცოდნის გაღრმავებაზე. სავალდებულო სასწავლო კურსი ,,შიგა წვის ძრავები“ სრულყოფილად მოიცავს იმ თემატიკას და აყალიბებს იმ უნარებს, რომლებიც აღნიშნულ რეკომენდაციაში გათვალისწინებული.

- სასწავლო კურსების შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და რუბრიკები გაიწერა ისე, რომ გამოირიცხა უნიფიცირება. დაკონკრეტდა შუალედურ და ფინალურ გამოცდებზე შეფასების მეთოდების რაოდენობა და დეტალურად გაიწერა თუ როგორ ნაწილდება გამოცდის ქულა შეფასების თითოეულ მეთოდებზე. სასწავლო კურსების სილაბუსებში, სწავლა-სწავლების მეთოდებში შევიდა ცვლილბები, მოხდა მათი ადაპტირება თითოეული სასწავლო კურსის საჭიროებიდან გამომდინარე უნიფიცირების მოშლის მიზნით. თითოეულ სილაბუსში დაკონკრეტდა შუალედურ და დასკვნით გამოცდებზე შეფასების მეთოდების რაოდენობა.

- პრაქტიკის ობიექტთან დაკავშირებით გათვალისწინებულ იქნა რეკომენდაცია და 2021 წლის 01 მაისს, ბნსუ-მ, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს თანადგომითა და ხელშეწყობით, გააფორმა ხელშკრულება შპს ,,ლმნტ“-სთან, მისი კუთვნილი გემის ,,ახტიარის“ ბნსუ-ს საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტის სტუდენტთათვის პრაქტიკის უზრუნველყოფის მიზნით. ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია სტუდენტთა რაოდენობა და პრაქტიკის ხანგრძლივობა. ხელშეკრულებას თან ერთვის იმ სტუდენტთა ობითი სია, რომელებიც ამჟამად გადიან პრაქტიკას აღნიშნულ ობიექტზე. გემის ტონაჟი შესაბამისობაშია თანამედროვე საერთაშორისო მოთხოვნებთან და აკმაყოფილებს საოეკანო პრაქტიკისათვის აუცლებელ პირობებს.

- დაწესებულებამ უზრუნველყო პროგრამის შემუშავებისა და ორგანიზების უნარების მქონე პროგრამის ხელმძღვანელები.

- მატერიალურ რესურსთან დაკავშირებული რეკომენდაციის შესრულების პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავა ბნსუ-ს მშენებლობის გეგმა და საერთაშორისო საზღვაო მომზადების ცენტრის სამოქმედო გეგმა 2022, რომლებიც იძლევა საშუალებს, განხორციელდეს ბნსუ-ს რეკონსტრუქციისა და ხელახალი აღჭურვის პროცესში მატერილ-ტექნიკური ბაზის გეგმაზომიერი, მათ შორის - რეკომენდაცათა შესაბამისი პროცესების მონიტორინგი.

- უფრო დეტალურად და ნათლად გაიწერა პროგრამის ბიუჯეტი, მასში პროგრამის მატერიალური ბაზის განახლების და პრაქტიკის განხორციელების ხარჯების ასახვით.

ზემო არნიშნულის გათვალისწინებით პროგრამის შეფასება სტანდარტების დაკმაყოფილებასთან მიმართებაში შემდეგია:

სტანდარტი 1 - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

სტანდარტი 2 - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

სტანდარტი 3 - არ შეფასდა.

სტანდარტი 4 - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა - შესაბამისია მოთხოვნებთან;

სტანდარტი 5 - არ შეფასდა.

- **რეკომენდაციები**

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. სასურველია პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს უფრო მოკლედ, მათი აღქმის გაუმჯობესების მიზნით;
2. სასურველია მომავალში გადახედილ იქნას სასწავლო კურსების: საინჟინრო გრაფიკა, მათემატიკა, თეორიული მექანიკა (ძირითადი ცნებები), მექანიზმების და მანქანების თეორია მანქანათა ნაწილები (ძირითადი ცნებები) კრედიტების რაოდენობა. შესაძლებელია გამოყენებული იქნას მსოფლიოში აპრობირებული პრაქტიკა ორი ან მეტი სასწავლო კურსის კომბინაციით სასურველი მიზნით სწავლება (მაგ. გამოყენებითი მექანიკა, ტექნიკური მექანიკა, სპეციალობის ტექნიკური საფუძვლები და ა.შ.), რომელშიც შევა მხოლოდ ის საკითხები, რომელიც საჭიროა კვალიფიკაციისთვის განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისთვის;
3. მიზანშეწონილია სასწავლო კურსში „ჰიდრომექანიკა და პნევმატიკა" გაიმიჯნოს თემატიკები და ჩამოყალიბდეს შემდეგი განცალკევებული სასწავლო კურსების სახით: „ჰიდროაერომექანიკა (Fluid Mechanics)" და „ჰიდრავლიკა და პნევმატიკა (Hydraulics and Pneumatics)".
4. მიზანშეწონილია პროგრამის განხორციელებაში ჩართული დარგის პროფესიონალი და გამოცდილი უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალისათვის განისაზღვროს აკადემიური პერსონალის სტატუსი, ნაცვლად მოწვეულისა.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტულ საგანმანათლებლო მიმართულებას წარმოადგენს „გემის მექანიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა. მისი მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის და საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტის მისიას.

პროგრამის მიზნის ჩამოყალიბებისას გათვალისწინებულია საღვაო ინჟინერიის დარგობრივი მახასიათებლის და STCW კონვენციის სპეციფიკური მოთხოვნები. პროგრამა ორიენტირებულია გემის ინჟინერ-მექანიკოსის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე. ასევე, საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ისეთი კომპეტენციების ჩამოყალიბება, რომ კურსდამთავრებულმა შეძლოს პროფესიულ საქმიანობაში თავისი შესაძლებლობების რეალიზება და კარიერულ წინსვლა. პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია, ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული. პროგრამა პასუხობს დარგის თანამედროვე მიღწევებს და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. უნივერსიტეტი თანამშრომლობს სხვა ქვეყნების წამყვან უნივერსიტეტებთან და პროგრამაში კარგადაა წარმოდგენილი პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხები. პროგრამა გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამის კურიკულუმი;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- ბნსუ-ის მისია, სტრატეგია;
- ბნსუ-ის საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის მისია, სტრატეგია;
- თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში „გემის მექანიკა“ უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს მიზნები და სწავლის შედეგი. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს სასწავლო კურსების შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნასა და უნარებს, რომლებიც რეალისტურია, გაზომვადია და მიღწევადი.

პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია ბაკალავრიატის საფეხურის კვალიფიკაციის შესაბამისი დონის აღმწერთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. საკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა სტუდენტს აძლევს დასაქმების და კარიერული წარმატების შესაძლებლობას.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტები: „კომპეტენციების, სწავლის შედეგების ფორმირებისა და შეფასების მეთოდოლოგია“, „პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და განხორციელების მარეგულირებელი დებულება“. აღნიშნული დოკუმენტების მიხედვით დაწესებულება ახორციელებს სწავლის შედეგების ფორმირებას, შეფასებას და განვითარებას.

უნივერსიტეტმა გაითვალისწინა რეკომენდაცია და განაახლა პროგრამის სწავლის შედეგები, რომლებიც ჩამოყალიბებულია უფრო მარტივად და ლაკონურად. ჩასწორების შედეგად აღარ მეორდება ერთი და იგივე თემატიკა სხვადასხვა სწავლის შედეგი.

პროგრამისათვის განსაზღვრულია შვიდი სწავლის შედეგი, რომელიც თავსებადია „საზღვაო ინჟინერიის“ დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებთან. თითოეულ სწავლის შედეგში ჩაშლილია პუნქტებად.

| |
|---|
| სწავლის შედეგების აღქმის კიდევ უფრო გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილია, რომ პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება მოხდეს უფრო მოკლედ. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>○ პროგრამის კურიკულუმი და სილაბუსები;<br>○ საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;<br>○ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების დებულება;<br>○ კომპეტენციების და სწავლის შედეგების ფორმირების და შეფასების მეთოდოლოგია;<br>○ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები<br>○ ინტერვიუს შედეგები. |
| რეკომენდაციები:<br>○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>○ სასურველია პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს უფრო მოკლედ, მათი აღქმის გაუმჯობესების მიზნით. |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| შეფასება<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | √ | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „გემის მექანიკა“ დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება. ჩარიცხვა ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. აუცილებელი პირობაა ეროვნულ გამოცდებზე სავალდებულო საგნად ინგლისური ენის ჩაბარების შემთხვევაში - 50%-იანი ბარიერის გადალახვა.<br>პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას. დამატებითი მოთხოვნაა ინგლისური ენის ფლობა არანაკლებ B2 დონეზე. მოთხოვნილ დონეზე ენის ფლობის დადასტურება ხდება ან სასწავლო უნივერსიტეტში ჩატარებული შიდა გამოცდით (აუცილებელი პირობაა 65%-იანი ბარიერის გადალახვა), ან დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენით.<br>ამით უსდ-მ შეასრულა რეკომენდაცია, რომელიც მოითხოვდა იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც აბარებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებს, თავიდანვე სავალდებულოდ |

განესაზღვრათ პროგრამის დაძლევისთვის საჭირო ინგლისური ენის ცოდნის შესაბამისი ზღვარი.

საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის ნორმატიული დოკუმენტების (International Convention on Standards of Training, Certification and Watchkeeping for Seafarers, 1978/95, as amended in 2010) შესაბამისად პროგრამაზე დაშვების პირობას წარმოადგენს ჯანმრთელობის შესაბამისი მდგომარეობა, რაც აუცილებელია პროგრამის სპეციფიკური კომპონენტების შესწავლისა და დაგეგმილი სწავლის შედეგის მიღწევისთვის.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, არის სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამის კურიკულუმი;
- პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები (შინაგანაწესი);
- ბნსუ-ის ვებ-გვერდი (https://bntu.edu.ge/);
- ინტევიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| |
|---|
| **შეფასება** |
| ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა |
| ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |
| ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |
| ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |
| ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
|---|
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>წარმოდგენილი ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „გემის მექანიკა“ შედგენილია ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“, საკვალიფიკაციო ჩარჩოს და „საზღვაო ინჟინერიის“ დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების შესაბამისად. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას და ითვალისწინებს დარგის თანამედროვე მიღწევებს. „გემის მექანიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა შეადგენს 240 კრედიტს. პროგრამა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში არჩევითობას. პროგრამის სტრუქტურა უზრუნველყოფს თანმიმდევრული გადასვლის პრინციპს ზოგადიდან ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსებზე. პროგრამის შინაარსი, მოცულობა, მიზანი და სწავლის შედეგები შეესაბამება საბაკალავრო სწავლების საფეხურს. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს. უზრუნველყოფილია პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა. პროგრამის სტრუქტურის და შინაარსის ფორმირებისას პრიორიტეტი მინიჭებული აქვს დარგის მახასიათებლის მოთხოვნების დაკმაყოფილებას.<br>რეკომენდაციებთან დაკავშირებით ჩატარდა მოკვლევა და კონსულტაციები და გაკეთდა შემდეგი ცვლილებები და განმარტებები:<br>- სპეციალიზებული პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების უნარების განვითარება უზრუნველყოფილია წინამდებარე პროგრამის სასწავლო კურსით ,,ტრენაჟორული მომზადება“. რეკომენდაციის გათვალისწინების მიზნით სასწავლო კურსში ,,ტრენაჟორული მომზადება“ გაიზარდა პარქტიკულ დავალებებზე დათმობილი საათების რაოდენობა; |

- არჩევითი სასწავლო კურსი ,,გემის დიზელის ძრავების ტექნიკური ექსპლუატაცია“ მიმართულია სავალდებულო საგნებით, კერძოდ, სავალდებულო სასწავლო კურს ,,შიდა წვის ძრავებით“ გათვალისწინებული ცოდნის გაღრმავებაზე. სავალდებულო სასწავლო კურსი ,,შიგა წვის ძრავები“ სრულყოფილად მოიცავს იმ თემატიკას და აყალიბებს იმ უნარებს, რომლებიც აღნიშნულ რეკომენდაციაში გათვალისწინებული;

- სასწავლო კურსების შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და რუბრიკები გაიწერა ისე, რომ გამოირიცხა უნიფიცირება. დაკონკრეტდა შუალედურ და ფინალურ გამოცდებზე შეფასების მეთოდების რაოდენობა და დეტალურად გაიწერა თუ როგორ ნაწილდება გამოცდის ქულა შეფასების თითოეულ მეთოდებზე.

ძალაში რჩება შემდეგი რჩევები: მიზანშეწონილია მომავალში გადახედილ და გაზრდილ იქნას კრედიტები რაოდენობა შემდეგი სასწავლო კურსებისთვის: საინჟინრო გრაფიკა, მათემატიკა, თეორიული მექანიკა (ძირითადი ცნებები), გემის აგებულება და თეორია, მექანიზმების და მანქანების თეორია მანქანათა ნაწილები (ძირითადი ცნებები). ამასთან ზემოაღნიშნულ ზოგიერთ სასწავლო კურსების დასახელებებში მოცილდეს „(ძირითადი ცნებების)“ მინიშნება. მიზანშეწონილია სასწავლო კურსში „ჰიდრომექანიკა და პნევმატიკა“ გაიმიჯნოს თემატიკები და ჩამოყალიბდეს შემდეგი სასწავლო კურსების სახით: „ჰიდროაერომექანიკა (Fluid Mechanics)“ და „ჰიდრავლიკა და პნევმატიკა (Hydraulics and Pneumatics)“.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამის კურიკულუმი და სილაბუსები;
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების წესი;
- პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია მომავალში გადახედილ იქნას სასწავლო კურსების: საინჟინრო გრაფიკა, მათემატიკა, თეორიული მექანიკა (ძირითადი ცნებები), მექანიზმების და მანქანების თეორია მანქანათა ნაწილები (ძირითადი ცნებები) კრედიტების რაოდენობა. შესაძლებელია გამოყენებული იქნას მსოფლიოში აპრობირებული პრაქტიკა ორი ან მეტი სასწავლო კურსის კომბინაციით სასურველი მიზნით სწავლება (მაგ. გამოყენებითი მექანიკა, ტექნიკური მექანიკა, სპეციალობის ტექნიკური საფუძვლები და ა.შ.), რომელშიც შევა მხოლოდ ის საკითხები, რომელიც საჭიროა კვალიფიკაციისთვის განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისთვის.
- მიზანშეწონილია სასწავლო კურსში „ჰიდრომექანიკა და პნევმატიკა“ გაიმიჯნოს თემატიკები და ჩამოყალიბდეს შემდეგი განცალკევებული სასწავლო კურსების

სახით: „ჰიდროაერომექანიკა (Fluid Mechanics)“ და „ჰიდრავლიკა და პნევმატიკა (Hydraulics and Pneumatics)“.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

„გემის მექანიკის“ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან და ხელს უწყობს სტუდენტს განუვითარდეს პროგრამის სწავლის შედეგებით განსაზღვრული კომპეტენციები.

სასწავლო კურსების შინაარსი და მოცულობა შეესაბამება სწავლის საფეხურს და შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. სილაბუსებში სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია კომპლექსურად. ყოველი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა დადგენილია ამ სასწავლო კურსის მიზნის, მისაღწევი სწავლის შედეგების, სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდების საჭიროებისა და ასათვისებელი მასალის სირთულისა და მოცულობის შესაბამისად.

| |
|---|
| სასწავლო კურსების სილაბუსები უზრუნველყოფილია სავალდებულო ლიტერატურითა და შესაბამისი სასწავლო მასალებით, რომლებიც ითვალისწინებს დარგის უახლეს მიღწევებს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა ,,გემის მექანიკა“;<br>○ სასწავლო კურსის სილაბუსები;<br>○ ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| **2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება** |
|---|
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** |

პროგრამა, სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას.

პროგრამაში შემოთავაზებულია პრაქტიკის შერეული მოდელი, გულისხმობს თეორიულ კურსებში ჩაშენებული პრაქტიკისა და პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსების თანმიმდევრულ განხორციელებას. სასწავლო კურსებში ინტეგრირებული პრაქტიკული/ლაბორატორიული სამუშაოები გულისხმობს სტუდენტების მხრიდან თეორიული სწავლების პარალელურად სპეციალურ სიმულატორებზე, ტრენაჟორებზე, სახელოსნოებსა და ლაბორატორიებში პრაქტიკული დავალებების შესრულებას, რაც გათვალისწინებულია კონკრეტული სასწავლო კურსების სილაბუსებით. გარდა ამისა პროგრამა მოიაზრებს ორ სავალდებულო დამოუკიდებელ პრაქტიკულ კურსს: „სასწავლო-საწარმოო პრაქტიკა" და „საზღვაო პრაქტიკა". აღსანიშნავია, რომ პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად.

უსდ-ს დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები ითვალისწინებს პრაქტიკის მიზანს, რაც გულისხმობს „საზღვაო პრაქტიკის" შემადგენელი კომპონენტის საცურაო პრაქტიკის გავლას. ხელშეკრულებაში განსაზღვრულია სტუდენტთა რაოდენობა და პრაქტიკის ხანგრძლივობა.

დარგობრივი მახასიათებლით, კანონმდებლობითა და საერთაშორისო STCW კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად გათვალისწინებულია საცურაო პრაქტიკის (30 კრედიტი) გავლა შპს „ლმნტ"-ს გემზე „ახტიარი" .

ანალოგიური ქართულენოვანი პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ისინი მონაწილეობენ სტუდენტურ კონფერენციებში, რაც დამატებით ხელს უწყობს პრაქტიკული, სამეცნიერო და ტრანსფერული უნარების განვითარებას.

პრაქტიკის ობიექტთან დაკავშირებით გათვალისწინებულ იქნა რეკომენდაცია და 2021 წლის 01 მაისს, ბნსუ-მ, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს თანადგომითა და ხელშეწყობით, გააფორმა ხელშკრულება შპს ,,ლმნტ"-სთან, მისი კუთვნილი გემის ,,ახტიარის" ბნსუ-ს საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტის სტუდენტთათვის პრაქტიკის უზრუნველყოფის მიზნით. ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია სტუდენტთა რაოდენობა და პრაქტიკის ხანგრძლივობა. ხელშეკრულებას თან ერთვის იმ სტუდენტთა ობითი სია, რომელებიც ამჟამად გადიან პრაქტიკას აღნიშნულ ობიექტზე. გემის ტონაჟი შესაბამისობაშია თანამედროვე საერთაშორისო მოთხოვნებთან და აკმაყოფილებს საოეკანო პრაქტიკისათვის აუცლებელ პირობებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- „გემის მექანიკის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი და სილაბუსები;
- ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის.

| |
|---|
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები** |
| პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამის სწავლება-სწავლის მეთოდებია: ლექცია, ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, ელექტრონული რესურსით სწავლება და სხვ., რომლებიც თავის მხრივ მოიცავენ აქტივობებს დისკუსია, დემონსტრირება, პრეზენტაცია და სხვ. აღნიშნული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება საზღვაო ინჟინერიის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ შედეგების მიღწევის მეთოდებს.<br>პროგრამის კურიკულუმშიწარმოდგენილია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის სწავლის მეთოდების შესაბამისობა საზღვაო ინჟინერიის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელთან, რაც ადასტურებს პროგრამის სწავლა-სწავლების მეთოდების შერჩევის სისწორეს.<br>სასწავლო კურსების სილაბუსებში, სწავლა-სწავლების მეთოდებში შევიდა ცვლილებები - მოხდა მათი ადაპტირება თითოეული სასწავლო კურსის საჭიროებიდან გამომდინარე უნიფიცირების მოშლის მიზნით. თითოეულ სილაბუსში დაკონკრეტდა შუალედურ და დასკვნით გამოცდებზე შეფასების მეთოდების რაოდენობა. შესაბამისად რეკომენდაცია შესრულებულია. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** |

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა ,,გემის მექანიკა“;
- სასწავლო კურსის სილაბუსები.
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, არის გამჭვირვალე და კანონმდებლობასთან შესაბამისი. შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის.

გემის მექანიკის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ანალოგიური ქართულენოვანი პროგრამის სტუდენტებთან, მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ სტუდენტები იღებენ უკუკავშირს სწავლის შედეგებზე. აღნიშნული მიზნისათვის გამოიყენება ელექტრონული პორტალი. მსგავსი უკუკავშირი ხელს უწყობს შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის არსებობას.

| |
|---|
| უზრუნველყოფილია სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრება. უსდ-ში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები მოიცვას შეფასების შედეგების ანალიზსა და მის გამოყენებას სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად.<br>მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ უსდ-მ რეკომენდაციის შესაბამისად შეიტანა ცვლილებები სასწავლო კურსების სილაბუსებში. განახლებულ სილაბუსებში სასწავლო კურსების შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და რუბრიკები არ არის უნიფიცირებული, დაკონკრეტებულია შუალედურ და ფინალურ გამოცდებზე შეფასების მეთოდების რაოდენობა და გაწერილი თუ როგორ ნაწილდება გამოცდის ქულა შეფასების თითოეულ მეთოდებზე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ გემის მექანიკის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი და სილაბუსები;<br>○ პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია (დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს №02 გადაწყვეტილებით 07.02.2019);<br>○ შეფასების გასაჩივრების მექანიზმი (საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტის დებულება №2-030101-02);<br>○ ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ვებ გვერდი;<br>○ ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br>○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | √ | | | |

## 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

### 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
|---|
| არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა |
|---|
| მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით |
| **რეკომენდაციები:** |

| |
|---|
| წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | | | | |

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

| 4.1 ადამიანური რესურსი |
|---|
| ➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;<br>➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;<br>➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;<br>➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** |
| პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება სულ 24 აკადემიური და მოწვეული პეროსნალი, რომელთაგან 18 არის მოწვეული პერსონალი (მათ შორის სამი უცხოეთის მოქალაქე) და 8 აკადემიური პერსონალი. სპეციალური კურსების განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი ძირითადად არჩეულია პროფესიული ნიშნით, რაც გულისხმობს რომ ისინი არიან მართვის დონის უფროსი მექანიკოსები, აქვთ პედაგოგიური გამოცდილება.<br>დაწესებულებას შედგენილი აქვს აკადემიურ პერსონალზე ინდივიდუალური დატვირთვის სქემა თითოეული პერსონალისთვის ცალკ-ცალკე, სადაც გაწერილია აკადემიური პერსონალის განსახორციელებელი სხვადასხვა აქტივობა. იგივე პრინციპით აქვს მოწოდებული მოწვეული პერსონალის დატვირთვა.<br>პროგრამას ყავს სამი ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები და მოვალეობები რეგულირდება დაწესებულების მიერ შემუშავებული დოკუმენტით „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის თანამდებობრივი ინსტრუქცია.<br>დაწესებულებას შემუშავებული აქვს პერსონალის დატვირთვის მეთოდოლოგია, სადაც აღწერილია აკადემიური თუ მოწვეული პერსონალის საჭირო რაოდენობის შეფასების მექანიზმები.<br>პროგრამაში ჩართული მოწვეული პერსონალის სტატუსით წარმოდგენილი განმახორციელებლებიდან დიდი ნაწილი წარმოადგენს უნივერსიტეტის არსებულ თანამშრომლებს, რომლებსაც საზღვაო დარგში სწავლებისთვის გააჩნიათ მნიშვნელოვანი გამოცდილება და ასევე, მათი მონაწილეობა მონიტორინგისთვის წარმოდგენილი |

საგანმანათლებლო პროგრამის შეუფერხებლად განხორციელებაში რელევანტური და ეჭვგარეშეა, თუმცა ექსპერტთა მოსაზრებით, მიზანშეწონილია ასეთი პერსონალისთვის განისაზღვროს აკადემიური პერსონალის სტატუსი ნაცვლად მოწვეულისა, რაც საერთო ჯამში შეცვლის პროგრამაში აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის თანაფარდობას.

პროგრამის ხელმძღვანელთან დაკავშირებით დაწესებულებამ უზრუნველყო პროგრამის შემუშავებისა და ორგანიზების უნარების მქონე პროგრამის ხელმძღვანელები, რომლებსაც გააჩნიათ შესაბამისი კვალიფიკაცია და დარგში მუშაობის დიდი გამოცდილება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები;
- მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები;
- აკადემიური პერსონალის დატვირთვა;
- მოწვეული პერსონალის დატვირთვა;
- პერსონალის განსაზღვრის მეთოდოლოგია;

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზანშეწონილია პროგრამის განხორციელებაში ჩართული დარგის პროფესიონალი და გამოცდილი უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალისათვის განისაზღვროს აკადემიური პერსონალის სტატუსი ნაცვლად მოწვეულისა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი იყენებს პერსონალის შეფასების სხვადასხვა მექანიზმებს. დაწესებულებას შემუშავებული აქვს კითხვარები რომლის მიხედვითაც ახორციელებს კმაყოფილების კვლევას და სდაწესებულება იყენებს პერსონალის შეფასების სხვადასხვა მექანიზმებს. დაწესებულებას შემუშავებული აქვს კითხვარები რომლის მიხედვითაც ახორციელებს კმაყოფილების კვლევას და სწავლის პროცესის განხორციელების შეფასებას. არის კითხვარები სტუდენტებისთვის, ლექტორის შეფასების კვლებისთვის, კურსდამთავრებულთა კვლევისთვის. აღნიშნული კვლევები ანალიზდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხელმძღვანელობასთან წარსადგენ ანგარიშის დროს.

პერსონალის შეფასებისათვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს ასევე სარეიტინგო სისტემა, რაც გულისხმობს პერსონალისთვის დადგენილი წესით სარეიტინგო ქულის მინიჭებას. შემუშავებული ცხრილის საშუალებით ხდება სასწავლო, სამეცნიერო და სხვა აქტივობების შეფასება და შესაბამისი ქულის მინიჭება. პირადი რეიტინგის ცხრილის შევსება არის პერსონალის პასუხისმგებლობა, ინფორმაციის ნამდვილობაზე კონტროლი - კათედრის გამგის, მონაცემების სარეიტინგო სიების ბაზის შექმნა - ფაკულტეტის მდივნის, ხოლო სარეიტინგო სისტემის პირველადი ანალიზი და კომისიისთვის გადაცემა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობაა.

დაწესებულება ატარებს კონფერენციებს, სემინარებს და ტრენინგებს თანამშრომლებისათვის. მაგალითად: ონლაინ საერთაშორისო კონფერენცია „მეზღვაურთა დღე, ტრენინგები პროფესორ მასწავლებლებისათვის საზღვაო ინგლისური ენის შესწავლის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით, კრიზისულ სიტუაციებში მართვის ფსიქოლოგიასთან დაკავშირებით, ლიდერობისა და წარმატების ფსიქოლოგიასთან დაკავშირებით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი ხელშეკრულებები/მემორანდუმები;
- დაწესებულების მიერ განხორციელებული ღონისძიებების ჩამონათვალი;
- ინტერვიუს შედეგები;

| |
|---|
| ○ უნივერსიტეტის ვებ გვერდი. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 4.3 მატერიალური რესურსი |
|---|
| პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>მატერიალურ რესურსთან დაკავშირებული რეკომენდაციის შესრულების პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავა ბნსუ-ს მშენებლობის გეგმა და საერთაშორისო საზღვაო მომზადების ცენტრის სამოქმედო გეგმა 2022, რომლებიც იძლევა საშუალებს, განხორციელდეს ბნსუ-ს რეკონსტრუქციისა და ხელახალი აღჭურვის პროცესში მატერილ-ტექნიკური ბაზის გეგმაზომიერი, მათ შორის - რეკომენდაცათა შესაბამისი პროცესების მონიტორინგი. |

| |
|---|
| აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ვიზუალური დათვალიერებით შემოწმებული იქნა დაწესებულების სასწავლო ბაზა (აუდიტორიები, ლაბორატორიები, ლინგაფონის კაბინეტი, ტრენაჟორული სივრცეები, ბიბლიოთეკა და სხვა.).<br>ძირითადი ყურადღება მიექცა ლაბორატორიული სივრცეების შემოწმებას და რეკომენდაციებით განსზღვრული დანაკლისების გამოსწორების შეფასებას. სასწავლო სახელოსნოში და ლაბორატორიებში გათვალისწინებულია უსაფრთხოების ნორმებით განსაზღვრული საშუალებები და რეგულაციები. განახლებული იქნა სამანქანე სიმულაცირი განყოფილება, ავტომატიკის, პნევმატიკისა და ჰიდრავლიკის ლაბორატორიები. სასწავლო უნივერსიტეტში მიმდინარეობს მთლიანი ინფრასტრუქტურის განახლების მასშტაბური სამუშაოები, რაც პროგრამის მატერიალური ბაზის გაუმჯობესების დინამიკის კარგი მაჩვენებელია. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ უნივერსიტეტის სასწავლო ინფრასტრუქტურის ვიზუალური დათვალიერების შედეგები;<br>○ ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br>○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

### 4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაცია ბიუჯეტთან დაკავშირებით და წარმოადგინა დეტალურად გაწერილი პროგრამის ბიუჯეტი, სადაც ასახულია: აკადემიური და მოწვეული პერსონალის ანაზღაურების, მატერიალური ბაზის განახლების და განვითარების, პროგრამული უზრუნველყოფის, საბიბლიოთეკო ფონდის შევსების, პრაქტიკის, დიპლომების, სიგელების, სერტიფიკატების დამზადების, საკანცელარიო და სხვა ხარჯები.

ამჟამინდელი მდგომარეობით წარმოდგენილი პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსები შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს და იძლევა მისი მდგრადი განხორციელების შესაძლებლობას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამის ბიუჯეტი;
- ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

| |
|---|
| ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | √ | | | |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

| 5.1 შიდა ხარისხის შეფასება |
|---|
| პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

| |
|---|
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება** |
| პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით |
| **რეკომენდაციები:** |

| |
|---|
| წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | | | | |

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:**

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი;

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:**
გემის მექანიკა, ბაკალავრიატი;

**დასკვნის გვერდების რაოდენობა:** 33.

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | √ | | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | √ | | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | √ | | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | | | | |

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

გივი სანაძე,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი

მანანა მოისწრაფიშვილი